კონსტრუქციული დასკვნა, რეკომენდაცია

ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. №83, ბლოკი „ბ“-ს არსებულ ნაგებობაზე დაშენების შესაძლებლობის შესახებ

ნაგებობა შედგება ორი სარდაფისა და 5 საცხოვრებელი სართულისაგან.

სამშენებლო უბანი ხასიათდება შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებით:

1. სეისმურობა – 8 ბალი;
2. ქარის დატვირთვა – 70 კგძ/კვ;
3. თოვლის დატვირთვა – 50 კგძ/კვ.მ.

ფარდობით ნიშნულს ±0.00 შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული 577,40 მ.

საძირკვლის ფუძედ მიღებულია ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანი არგილითებისა და თიხოვანი ქვიშაქვების შუაშრეებით, საანგარიშო წინაღობით R_o=6,0 კგძ/სმ^2.

საძირკვლის კონსტრუქციას წარმოადგენს საძირკვლის მონოლითური კოჭებით გადაკრული წერტილოვანი საძირკვლები. გარე პერიმეტრზე კედლის ქვეშ მოწყობილია ლენტური საძირკველი.

შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს რკინაბეტონის მონოლითური კარკასი: სვეტები (50X50, 50X40, 40X40) სმ, რიგელები – (50X60, 40X60, 50X50, 40X50) სმ.

შენობის სართულშუა გადახურვა შესრულებულია რკინაბეტონის მონოლითური ფილებით, სისქით h=16 სმ და h=20 სმ. კარკასის შევსება წვრილი ბლოკით.

კიბის კონსტრუქცია – მონოლითური რკინაბეტონის.

სახურავი – ბრტყელი.

არსებული შენობის კომპიუტერული გაანგარიშების საფუძველზე მოხდა შენობის მდგრადობის და მზიდუნარიანობის გადამოწმება არსებულ ნაგებობაზე ერთი სართულის დამატების თაობაზე.

შენობის კონსტრუქციული ნაწილის გაცნობის შედეგად, შეგვიძლია დავადგინოთ, რომ არსებულ ნაგებობაზე შესაძლებელია ერთსართულიანი დაშენების მოწყობა.

დაშენების კონსტრუქცია უნდა შესრულდეს მსუბუქი კონსტრუქციების გამოყენებით (ხე-ლითონი), მისი ვერტიკალური მზიდი ელემენტები (სვეტები) უნდა ეყრდნობოდეს არსებული ნაგებობის რკინაბეტონის სვეტებს.

შემავსებლად გამოყენებული იქნას მსუბუქი კონსტრუქცია (პერლიტის, ქაფბეტონის და ა.შ. ბლოკები), ხოლო სახურავის კონსტრუქციაში გამოყენებულ იქნას ხის და ლითონის მზიდი ელემენტები, რკინაბეტონის თხელი ფილის საიზოლაციო ფენის გამოყენებით.

შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს
დირექტორი ბ. მირიანაშვილი

ექსპერტი – მთავარი სპეციალისტი
კონსტრუქტორი ფ. კონტრიძე

31.03.2015